

ელუარდ ციკოლია

ისმაილის მხატვრული სახის ინტერპრეტაციისათვის ჰერმან მელვილის რომანში *მობი-დიკი*

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გერმანიიდან დაძრულმა რომანტიზმის ტალღამ, რომელმაც სწრაფად მოიკიდა ფეხი საფრანგეთსა და ინგლისში, შემდგომში კი სრულიად ევროპაში, ამერიკის სანაპიროს 1820-იანი წლებისთვის მიაღწია. ისევე როგორც ევროპაში, ამერიკაშიც სამყაროს ახალმა და განსხვავებულმა ხედვამ შემოქმედებით და ინტელექტუალურ წრეებში ახალი „სიცოცხლე“ შემოიტანა, თუმცა განსხვავება ამერიკულ და ევროპულ რომანტიზმს შორის თვალსაჩინო და მკაფიო იყო: თუ ევროპელი რომანტიკოსები პოეზიას ანიჭებდნენ უპირატესობას, ამერიკელები უფრო პროზაული ჟანრის ქმნილებებს აქვეყნებდნენ.

რომანტიზმის გამოჩენა ამერიკის მიწაზე ამერიკული კულტურული იდენტობის გააზრებისა და ჩამოყალიბების ადრეულ და ურთულეს პერიოდს დაემთხვა. ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებამ, მოზღვავეებულმა იდეალიზმმა და რომანტიკის წყურვილმა განუმეორებელი შედეგების შექმნას დაუდო სათავე. რომანტიკული იდეებით გაიჟღინთა მთელი ამერიკული ხელოვნება. რომანტიკა გახდა შთაგონების წყარო, ბუნების სულიერი და ეთიკური არსის განმსაზღვრელი, მისი ჰარმონიულობის მეტაფორა. რომანტიკოსების მტკიცებით, ხელოვნების ძალა ჭეშმარიტების გამოსატვაშია, ხოლო წარმოსახვა აყალიბებს პიროვნებასა და საზოგადოებას.

ამერიკელ რომანტიკოსთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჰერმან მელვილს, რომლის რომანი *მობი დიკი* (*Moby-Dick; or, The Whale*, 1851) დამსახურებულად არის აღიარებული მსოფლიო ლიტერატურის შედევრად. ის უკვე თითქმის ორასი წელია უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს ლიტერატურის მოყვარულებს,

დაუვინყარი, ძლიერ ემოციური შთაბეჭდილებებით იპყრობს მკითხველის გონებასა და თვალუწვდენელ ოკეანეში, თავბრუდამხვევ მოგზაურობაში ითრევს მას. მეღვილმა სიუჟეტის ასაგებად იმდროინდელი ამერიკელების უმნიშვნელოვანესი საქმიანობა - ვეშაპების ჭერა გამოიყენა. 1820-1860 წლები ამ ფათერაკიანი და ძალზე საშიში საქმიანობის ოქროს ხანადაა მიჩნეული. მიუხედავად უკიდურესად საშიში მოგზაურობებისა, ეს პროფესია ძალზედ პოპულარული იყო მამაკაცებში. გარდა სარფიანი გარიგებებისა, მათ იზიდავდათ შეუზღუდავი თავისუფლებისადმი ლტოლვა, რომელსაც უსასრულო ოკეანე სთავაზობდათ. უმეტეს შემთხვევაში მნიშვნელობა არ ქონდა ადამიანის კანის ფერს, მის წარმომავლობასა და წოდებას. ეს ფრიად მნიშვნელოვანი და მიმზიდველი ფაქტორი იყო იმ ინდივიდებისათვის, ვინც პურიტანული, მკაცრი წესების პირობებში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას ხმელეთზე ვერ ახერხებდნენ.

რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ახალგაზრდა, ნაკლებად გამოცდილი ისმაილია, რომლის პირითაც მოგვითხრობს მწერალი სიუჟეტურ მოვლენებს. საკუთარი ბედისა და მატერიალური კეთილდღეობის მაძიებელი ისმაილი რომანის პირველივე წინადადებაში „შემოიჭრება“ მკითხველის გონებაში: “Call me Ismael.” ნანტაკენის იდუმალ, ნახევრად ჩაბნელებულ სანაპიროზე მოხეტიალე ბიჭი ვერც კი ხვდება, თუ რა სიურპრიზებს უმზადებს მას მომავალი. სასტუმრო “ვეშაპის შადრევანში” დაბინავებულს, პირველად შეიპყრობს შიშისა და გაურკვეველობის განცდა, როდესაც პოლინემიელ მეჭარპუნე კვებეკს შეხვდება. უცნაურად დაწყებული კომუნიკაცია სამაგალითო მეგობრობაში გადაიზრდება, უფრო მეტიც, სწორედ კვებეკისათვის წინასწარ გამზადებული კუბო აღმოჩნდება რომანის ეპილოგში ისმაილის გადარჩენის ერთადერთი საშუალება. რომანის ასეთი ფინალი ისმაილს, როგორც პერსონაჟსა და ამბის მთხრობელს, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას სძენს. იგი ხდება სიმბოლო ახალი შანსისა, ახალი ცხოვრების დაწყებისა. იგი განასახიერებს ახალი დროების ამერიკელს, რომელმაც წინაპართა დაშვებული შეცდომების გადაფასებით უნდა ააშენოს ახალი მომავალი.

ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პერსონაჟის სახელის „დაბადების“ შესახებ საინტერესო ვერსიას ვკითხულობთ კლაიდ ჰიბერმანის მიერ 2001 წელს *ნიუ იორკ თაიმზში* გამოქვეყნებულ სტატიაში¹:

¹ ჰიბერმანის ეს ცნობა ეპიგრაფად უძღვის ენდრიუ დელბანკოს წიგნს მეღვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ (Delbanco, 2005).

Herman Melville, who was born on Pearl Street in Lower Manhattan, had a pivotal moment as a young man, according to papers shown to this column by an unpublished Melville biographer. A neighborhood store owner overcharged him by mistake. When he discovered the error, the shopkeeper, who happened to be Jewish, apologized and said: “Call me Schlemiel”.-Melville was enchanted by that sentence. But he was unfamiliar with Yiddish, and did not quite get it right when he used it years later for the opening line of “Moby-Dick”. (Haberman 2001)

ჰერმან მელვილს, რომელიც პერლ სტრიტზე დაიბადა ქვემო მანჰეტენზე, ახალგაზრდობისას ასე გარდამტეხი მომენტი ჰქონია იმ ნაწერების მიხედვით, რომელიც მელვილის გამოუქვეყნებელი ბიოგრაფიის ავტორმა მიჩვენა. უბნის მალაზიის მეპატრონემ მას შეცდომით ზედმეტი გადაახდევინა. როცა მეპატრონემ, რომელიც ებრაელი აღმოჩნდა, შეცდომა აღმოაჩინა, მელვილს მოუბოდიშა და უთხრა: „შლემილი დამიძახეთ“. მელვილი მოიხიბლა ამ წინადადებით. მაგრამ მან არ იცოდა ილიში და წლების შემდეგ არასწორად გამოიყენა „მოზი დიკის“ პირველივე სტრიქონში.²

საეჭვოა, ახალგაზრდა მელვილს იმ დროისათვის წარმოდგენილი ქონოდა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მისი შედეგის მთავარი საკვანძო პერსონაჟი და რომანის პირველივე წინადადება.

ისმაილი, ისევე როგორც აქაბი, ბიბლიური სახელებია. *ძველი აღთქმის* მიხედვით, ისმაილი აბრაამისა და აგარის, აბრაამის ცოლის, სარას მოახლის ვაჟია. აბრაამმა დედა-შვილი ღია ცის ქვეშ, ბედის ანაბარა მიატოვა. ვეშაპზე ნადირობა ქრისტიან და იუდეველ მკითხველს ბიბლიური იონას ამბავსაც მოაგონებს. რომანის პირველი ეპიგრაფიც ხომ ასე უღერს: “And God created great whales” („შესაქმის“ პერიფრაზი) და შემდეგ ასე გრძელდება: “Now the Lord has prepared a great fish to swallow up Jonah” - ბიბლიის მიხედვით, იონა, გემიდან რომ გადააგდეს მეზღვაურებმა - ავი თვალი გაქვს და უბედურება მოგაქვსო, დიდმა თევზმა გადაყლაპა, შემდეგში ღმერთმა შეიბრალა იგი და გაანთავისუფლა.

ისმაილი, როგორც პერსონაჟი, მისი ხასიათითა და ცხოვრებით მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულს ამერიკულ საზოგადოებაში არსებულმა მდგომარეობამ

² ინგლისურენოვანი ციტატების თარგმანი, სადაც წყარო მითითებული არ არის, ეკუთვნის სტატიის ავტორს.

შვა, ეპოქამ, როდესაც ახალბედა ქვეყანა თვითმყოფადი კულტურის შექმნას დიდი მონდომებით ცდილობდა. ახლის შენებისა და საკუთარი „მე“-ს გამორკვევის რთულ, შრომატევად საქმეში საჭირო იყო ახალი ტიპის ახალგაზრდა გმირი, მართალია, მწირი ცხოვრებისეული გამოცდილებით, მაგრამ მზად მყოფი სიახლეებისა და გამონვევებისათვის. მეღვილი მკითხველს სთავაზობს ისმაილის პერსონაჟს, როგორც გზას ახალი რეალობისკენ და გადარჩენის შანსს.

მიუხედავად იმისა, რომ ისმაილი რომანის ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაჟია, იგი, როგორც მთხრობელი, ბევრს არ გვიყვება საკუთარ თავზე. სიუჟეტის განვითარება ამ მხატვრული სახის მრავალმხრივი ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა. ისმაილი თავის თავისუფლებასა და „დამოუკიდებლობას“ გვიდასტურებს, როდესაც გვეუბნება, რომ იგი არ ელტვის რამე განსაკუთრებულ წოდებას გემზე, მას არ სურს იყოს კაპიტანი, მზარეული და ა. შ. მას აქვს საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა - იზრუნოს საკუთარ თავზე. ჩვენ არაფერი ვიცით მის ოჯახსა თუ საგვარეულოზე.

მოხი დიკის მკითხველი თავდაპირველად ალბათ განასხვავებს ისმაილის ორგვარ სახეს: ისმაილს, როგორც ახალგაზრდა მეზღვაურს და როგორც ამბის მთხრობელს. რომანის პირველ 21 თავში „მეზღვაური ისმაილი“ დომინირებს. მისი აქტიურობა და ენერჯია გადამდებია მკითხველისათვის. მის მიერ აღწერილი შთაბეჭდილებები კარგი სამზადისია საოცარი მოგზაურობის დასაწყებად. „მთხრობელი ისმაილი“ კი, ფაქტობრივად, მართავს სიუჟეტის განვითარების რიტმსა და დრამატულობას (Pirner, 2005, p. 20).

ერთი მხრივ, ის არის პერსონაჟი, რომელიც მეღვილმა თითქოს კაპიტან აქაბის „საპირისპიროდ“ შექმნა. ტრაგიკული, „განწირული“ პერსონაჟის, აქაბის საპირწონედ ავტორი ისმაილის სახით გვიხატავს გმირს, რომელსაც მკითხველი მთელი რომანის განმავლობაში განსაკუთრებულად თანაუგრძნობს. აქაბისგან განსხვავებით, მისი ბედი გადანწყვეტილი როდია, ის არ გავს რომანის არცერთ სხვა გმირს. მას ყველასგან გამოარჩევს მისი უმანკოება, რაც შეიძლება დაუნდობელ ბუნებასთან შერკინების ნაკლები გამოცდილებითაც იყოს განპირობებული. რომანში აქაბი დიქტატორია, ხოლო ისმაილი დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი პერსონაჟი. მიუხედავად იმისა, რომ ისმაილის მიერ მოყოლილი ამბები შეიძლება დაუჯერებლადაც კი მოგვეჩვენოს მათი დრამატულობიდან გამომდინარე, ისინი, ისევე როგორც ისმაილის შეხედულებები, გაცილებით უფრო სანდო და რაციონალურია, ვიდრე - „გიჟი“ აქაბის. ისმაილი ის სინათლეა, რომელიც ვერაფრით აანთებს მისი

კაპიტნის შურისძიებით დაბნელებულ სულს, მაგრამ მას რომანის შოკისმომგვრელ დასარულში მაინც შეაქვს სინათლის სხივი. ისმაილი, მიუხედავად აქაბის უდიდესი ზნოლისა, ინარჩუნებს სულიერ სიმშვიდესა და თავისუფლებას. მისი თავისუფლების არსი კი ისაა, რომ იგი არ ხდება შეპყრობილი და შეურაცხადი, არ უნდა სიკვდილი და ემორჩილება ბუნების კანონებს.

ისმაილის სახით რომანის ერთ-ერთ პერსონაჟად თავად ავტორიც გვევლინება. მელვილის ცხოვრება, მისი განვლილი გზა ძალიან წააგავს ისმაილისას. მელვილმა, რომელმაც ხარისხიანი განათლებაც კი ვერ მიიღო, არაერთი სამუშაო ადგილი გამოიკვალა, თუმცა საკუთარი თავი მწერლობაში იპოვა. ამაში კი მას ყველაზე მეტად ვეშაპმჭერ „აკუნშეტზე“ ყოფნა და პოლინეზიის ავტოქთონურ ტომებთან ცხოვრების გამოცდილება დაეხმარა. მელვილის მიერ *მოხი დიკის* ჩაფიქრება და მისი სისრულეში მოყვანა ისმაილის მხრიდან უცნობ ადამიანებთან, უცნობ სამყაროში, ბუნდოვანი მომავლის საძიებლად გამგზავრების ტოლფასად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ისმაილის მეგობარი პოლინეზიელი კვებეკი კი ძალიან გავს მელვილისადმი კეთილგანწყობილ გმირებს *ტაიპი*-დან (*Typee: A Peep at Polynesian Life, 1846*). მელვილმა, რომელიც „ცივილიზებული“ სამყაროდან მოხვდა „ველურ ტომში“, იქ მოღვაწე მისიონერებზე მეტად საერთო ენა ადგილობრივებთან გამონახა, რაც მადლიერ აბორიგენებს გულგრილად არ დაუტოვებიათ და ისიც თბილად მიუღიათ. ისმაილისათვის კი უსასრულო, მომქანცველი მოგზაურობის უამს ერთადერთი ნუგეში კვებეკია, მისი ერთგული და უშიშარი მეგობარი. ისმაილისათვის ჰარვარდიცა და იელიც „პეკოლია“, სადაც მან „უმაღლესი განათლება“ მიიღო. მელვილის შემთხვევაშიც „აკუნშეტზე“ და ველურ ტომებთან გატარებულმა დრომ ჩაანაცვლა ერთდროს მისთვის საოცნებო საგანმანათლებლო აკადემიები.

ისმაილი, მთხრობელთა აბსოლუტური უმრავლესობისაგან განსხვავებით, უბრალოდ ამბავს კი არ გვიყვება, იგი რომანის თანაავტორიც არის, რომელსაც არასოდეს ტოვებს მელვილი მარტოს. სიუჟეტის განვითარების კვალდაკვალ მკითხველი კარგავს მისადმი, როგორც ინდივიდისადმი, ინტერესს და აღიქვამს მას, როგორც აპათიურ პერსონაჟს, მეზღვაურს, რომელიც შინაგანად ეწინააღმდეგება მისი კაპიტნის მისწრაფებებს და მისგან განსხვავებით ხსნას ისევ ხმელეთზე მიბრუნებაში ხედავს, თუმცა ამავდროულად მისი კეთილი გული და გონება გონდაკარგულ აქაბს თანაუგრძნობს და უნებლიედ აჰყვება მას დასამარცხებლად განწირულ თამაშში. ისმაილი გადამწყვეტ მომენტებში ამულავნებს მორალურ პრინციპულობას და აღკვეთს

საკუთარი ხასიათის დამლუპველ მისწრაფებებს, თავისუფლდება შურისძიებისა და სიხარბისაგან. მართალია, იგი გამოცდილებით ვერ დაიკვებინს, მაგრამ ნათლად გაიაზრებს მოსალოდნელ საფრთხეებს (Gray, 2011, p. 98). როგორც ჯო ფასლერი აღნიშნავს:

Ismail insists on individualistic and very deep observation, everything, both very important and small, is ultimately related to him. Ismail, as befits his name, is desperate, longing for kinship and friendship, from which at the same time comes a huge impulse, a desire to find something strong, a firm handhold in this "watery" world. (Fassler, 2013, p.3)

ისმაილი დაჟინებით მოითხოვს ინდივიდუალისტურ და ძალიან ღრმა დაკვირვებას, ყველაფერი, ძალიან მნიშვნელოვანია და წვრილმანიც, საბოლოოდ მას უკავშირდება. ისმაილი, როგორც მის სახელს შეეფერება, სასონარკვეთილია, ნათესაობასა და მეგობრობას მონყურებული, რომლისგანაც ამავედროულად მოდის უზარმაზარი იმპულსი, სურვილი ეძიოს რამე ძლიერი, მყარი ხელჩასაჭიდი ამ „წყლიან“ სამყაროში.

აღბათ ისმაილის ყველაზე მეტად შეეფერება ეპითეტები: აზარტული, ოპტიმისტი და „საღად მოაზროვნე“. რომანის მე-7 თავში „სამლოცველო“ (“The Chapel”) ვკითხულობთ:

It needs scarcely to be told, with what feelings, on the eve of a Nantuket voyage, I regarded those marble tablets, and by the murky light of that darkened, doleful day read the fate of the whalers who had gone before me. Yes, Ismael, the same fate may be thine. But, somehow I grew merry again. Delightful inducements to embark, fine chance for promotion, it seems - aye, a stove boat will make an immortal by brevet. Yes, there is death in this business of whaling - a speechlessly quick, chaotic bundling of a man into Eternity. (Melville, 1967, p. 832)

აღბათ მიმიხვდებით, რა გუნებაზე დამაყენებდა ნანტაკენში გამგზავრების წინ დღის მშრალ შუქზე ამ მარმარილოს ფილების თვალიერება და იმ ვეშაპმონადირეთა ბედის ამოკითხვა, რომლებიც ამ გზას ჩემამდე დასდგომოდნენ. ეჰ, ისმაილ, იქნებ შენც იმათი ბედი უნდა გაიზიარო-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ნელ-ნელა ისევ კარგ გუნებაზე დავდექი. განა კიდევ მომეცემოდა ასეთი მიმზიდველი და ხელსაყრელი შემთხვევა ბღვაზე გასასეირნებლად და წარმატების მისაღწევად?-ღმერთმანი,

დამსხვრეული ველბოტი უკვდავებას ხელფასის მოუმატებლად მიწყალობებდა. რაც მართალია, მართალია, ვეშაპმონადირეობაში სიკვდილი ჩვეულებრივი ამბავია: ერთი ხანმოკლე ქაოსური წამი და თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებ. (მელვილი, 2014, ტ. I, გვ. 64)

„სამლოცველოში“ ისმაილზე ბევრ რამეს ვიგებთ. ისმაილი შეიძლება ნაკლებად გამოცდილია, მაგრამ საკმარისად გონიერია იმისათვის, რომ ნაწილობრივ მაინც გაიაზროს, თუ რა გამოცდის წინაშე აყენებს საკუთარ გამძლეობასა და შესაძლებლობებს მომდევნო თვეებში, ან თუნდაც წლებში. რომანის არცერთი სხვა გმირის მონაწილეობით არ გვხვდება ეპიზოდი, სადაც ავტორი ასე ოსტატურად მიგვანიშნებს პერსონაჟის გადარჩენის პერსპექტივებზე. იგი ოპტიმისტია და საკუთარ თავს დალუპულთა მემორიალურ დაფაზე არავის „დააწერინებს“. აქ ჩანს ადამიანური სევდაც, როდესაც იგი უყურებს, თუ როგორ უიმედოდ შესცქერიან დალუპულების ოჯახის წევრები ნადირობას შეწირული მათთვის ძვირფასი ადამიანების ქვაზე ამოტვიფრულ სახელებს - ისმაილს ხომ არავინ ყავს ისეთი, ვინც თუნდაც მის გამო შემოვა სამლოცველოში. ვეშაპებზე სანადიროდ წასვლის მთავარი მოტივიც ალბათ სულიერი მარტოობა უფროა, ვიდრე მატერიალური კეთილდღეობის ძიება. მას რაღაც განსაკუთრებულის გამოცდა სწადია, რასაც ხმელეთზე ვერ პოულობს და იქნებ ზღვამ შეძლოს ამ სიცარიელის შევსება, და თუ ეს მსხვერპლი მისი ყოფის გაუმჯობესებასაც შეძლებს, არც ამაზე იტყვის უარს.

ისმაილი ახალშობილი ქვეყნის, მომავლის გმირია, რისკიანი, აზარტული, კაცთმოყვარე, ტოლერანტი და, რა თქმა უნდა, უკეთესი ცხოვრების მაძიებელი. ეს ის თვისებებია, რომლებიც მას იხსნის და სიცოცხლეს ხელახლა აჩუქებს. ისმაილის დალუპვა ეკიპაჟთან ერთად ალბათ მთლიანად რომანს და მის დიდებულ მიზნებსაც დალუპავდა. ისმაილი ტრადიციული, ყველასგან გარიყული, წარსულის მაღიდებელი, იდეალური, არამინიერი და აწმყოს უარმყოფელი რომანტიკული გმირი როდია, არამედ ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრების წიაღიდან გამოსული უბრალო ბიჭი, რომელიც ხსნის გზას მომავალში ხელდავს. მას მრავალი ფუნქცია და დატვირთვა აქვს, მათგან უმთავრესი კი ადამიანებში იმედის გაჩენაა. ის გადარჩა, რომ „პეკოდის“ „ბედისწერი“ შესახებ მოეყოლა. მე-19 საუკუნის ამერიკა ხომ სხვადასხვა ქვეყნიდან გადმოხვეწილი, სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე, ნაირგვარი ადათ-წესების დამცველი ემიგრანტების მუდმივი მოძრავი საზღვარი ანუ ფრონტიერი იყო. იმდროინდელი რეალობის გათვალისწინებით სულაც არ აღიქმება უცნაურად ის ფაქტი, რომ

ამერიკული ლიტერატურის უმთავრესი გმირები ასეთ ჭრელ და მრავალფეროვან გარემოში თავს მარტოსულად გრძნობენ. მელვილიც „პეკოდზე“ თითქმის ყველა რჯულისა და წარმომავლობის ადამიანს უყრის თავს თანაბარი უფლებებით (კაპიტნის გარდა), თუმცა გადარჩება მხოლოდ ერთი, ვისაც ერთგულება, სიყვარული და „საღად აზროვნება“ შეუძლია. ისმაილი ღირსეულად ართმევს თავს მასზე დაკისრებულ ყველა მისიას - იგი უპირობოდ არის ახალი ამერიკული დემოკრატიის პირმშო, რომელსაც არსებითად ერთი გზა ჰქონდა - არ შეშინებოდა ახალი გამონგვევების და თვითონ გამოეჭედა საკუთარი პიროვნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

მელვილი, ჰ. (2014). მობი დიკი ანუ თეთრი ვეშაპი. ორ ტომად. ინგლისურიდან თარგმნა გივი გეგეჭკორმა. თბილისი: პალიტრა L

Melville, H. (1967). *Moby-Dick; or, The Whale*. NY: W. W. Norton & Company, INC.

Delbanco, A. (2005). *Melville: His World & Work*. Picador.

Fassler, J. (2013). The Endless Depths of *Moby-Dick* Symbolism. *The Atlantic*, August 20. <https://www.theatlantic.com/entertainment/archive/2013/08/the-endless-depths-of-i-moby-dick-i-symbolism/278861/>

Gray, R. (2011). *A Brief History of American Literature*. 2nd edition. Wiley-Blackwell.

Haberman, C. (2001). NYC; A Debunker? Just Call Me A Schlemiel. *The New York Times*, Feb 3. <https://www.nytimes.com/2001/02/03/nyregion/nyc-a-debunker-just-call-me-a-schlemiel.html>

Pirner, S. (2005). *Call Me Ishmael: A Critical Analysis of the Narrator in Moby Dick*. GRIN Verlag GmbH.